წ ე რ ი ლ ი

საპატრიარქო თანხმობისა[1]
რიმნიკუს ეპისკოპოსის ანთიმოზის
უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად დადგინების შესახებ
1708 წლის თებერვლის დასაწყისი[2].

რადგან ღვთის წყალობითა და მადლით, ჩვენ არჩეულნნი ვიყავით მთის წმინდა ეკლესიის მართვისათვის ამგვარად გვაქვს ვალდებულება მუდმივად ვიღვაწოთ მსოფლიო ეკლესიის კეთილი მწყემსობისათვის, რადგან სასარგებლო და ქების ღირსია საქმე, როდესაც ეკლესია ძლიერდება და ღმერთისათვის სათნო და ადამიანისათვის მაცხოვნებელი საქმე ვერ გაკეთდება თუ ეკლესიის საჭეთმპყრობელებად არ განწესდებიან ღირსეული და მოშურნე ადამიანები, რომლებსაც ჩაბარდებათ სულიერი პირმეტყველი სამწყსოს დამოძღვრა.

რადგან უნგრო-ვლახეთის ყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი მეუფე თეოდოსი, რომელმაც ახლახანს განისვენა და მარადიულ სამყოფელში დაემკვიდრა, წმინდა მიტროპოლია სამღვდელმთავრო დამწყემსვის გარეშე დარჩა, საჭიროა გადაუდებლად და სწრაფად მანდ დაენიშნოს სხვა მღვდელმთავარი სულიერ და ქრისტიან სამწყმსოს სულიერი დამოძღვრისათვის, წმინდა და საღმრთო კანონების შესაბამისად, რათა არც ერთი სამრევლო და ეპარქია არ დარჩეს დიდხანს სულიერი და სამოძღვრო ნუგეშის გარეშე. მაშასადამე, შესრულდა რა წმინდა დიდმოწამე გიორგის საპატრიარქო ტაძარში ჩვენი საპატრიარქო ლოცვა-კურთხევით ჩვენი თანამწირველი წევრების მიერ კენჭისყრა, არჩეულ იქნა ღვთისმოყვარე რივნიკის ეპისკოპოსი ანთიმოზი, რათა მიიღოს ამ მიტროპოლიის სამღვდელმთავრო და

სამოძღვრო მმართველობა როგორც ფაქტი, პატიოსანი, ღირსი და სათნოებით შემკული, რაც შეესაბამება სამღვდელმთავრო ღირსებას[3], ამ არჩევანს მხარს უჭერს მისი ბრწყინვალება, აღმატებულება, სათნოთმოყვარე დიდი და ქების ღირსი უფალი და მბრძანებელი ი.ო. კონსტანტინ ბასარამ ვოევოდა სრულიად უნგრო-ვლახეთისა. ასევე მის გვერდით დგანან უნეტარესი და ყოვლად უსამღვდელოესი იერუსალიმის პატრიარქი მეუფე ხრისანტი და სული წმიდის მიერ საყვარელი ძმები და ჩვენი თანამწირველი იმ ადგილის ღირსი სამღვდელოება, მღვდელნი, თავადნი და ღვთივდაცული იმ ქვეყნის სამწყსოს წარმომადგენლები და თავად მეუფე ანთიმოზი, ადგილის წესის მიხედვით არჩეულ იქნა, როგორც იმ მიტროპოლიის მმართველი მოძღვარი. ამიტომ ჩვენი სიმდაბლისა და ჩვენს გვერდით მყოფი სული წმიდის მიერ საყვარელი ძმებისა და თანამწირველი მღვდელმთავრების წმინდა სინოდის საერთო გადაწყვეტილებით წინამდებარე წერილით იძლევა თანხმობას, რომ ღვთივკურთხეულ უნგრო-ვლახეთში მყოფმა ყოვლადუსამღვდელოესობა მღვდელმთავრებმა და ღვთივკურთხეულმა და სული წმიდის მიერ ჩვენმა საყვარელმა ძმებმა და ჩვენმა თანამწირველმა ეპისკოპოსებმა აღასრულონ გადაყვანა ღვთივკურთხეულისა მიტროპოლიტისა მეუფე ანთიმოზისა რიმნიკუს ეპარქიიდან და საეკლესიო წესების მიხედვით მისი აღსაყდრება უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიის ტახტზე[4] ამის დასამტკიცებლად გაიცა წინამდებარე ჩვენი საპატრიარქო სინოდალური ნებართვა.

1708 წელი, თებერვლის დასაწყისი

† კონსტანტინეპოლელი კიპრიანე..

[და სინოდის წევრი დანარჩენი მღვდელმთავრების ხელრთვები].

კომენტარები:

[1] წერილი „Scrisorea de îngăduire patriarhală pentru strămutarea66 la mitropolia Ungrovlahiei a lui Antim, episcop de Râmnic - 1708, începutul lunii februarie“ თარგმნილია კრებულიდან-კრებულიდან- ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2014. გვ. 33-37; Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu şi acad. Gabriel Ştrempel. - Bucureşti : Basilica, 2014

[2] ანთიმოზ ივერიელის უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად არჩევის სინოდალური აქტის კანონიკურობა არასოდეს დაყენებულა ეჭვის ქვეშ კონსტანტინეპოლელი პატრიარქების მიერ. მხოლოდ მოგვიანებით, იერუსალიმელი ხრიზანტი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იყო ამ წერილის შემდგენელი უარყოფდა მას, რითაც არღვევდა ეკლესიის ძველ წესსა და ტრადიციას.

[3] წმინდა ანთიმოზ ივერიელის პიროვნების ეს დახასიათება ბევრად მეტად დამაჯერებელია, ვიდრე გვიანდელი ცილისმწამებლური ბრალდებები. ანთიმოზ ივერიელზე მის ზნეობასთან დაკავშირებით რაიმე ეჭვები რომ ყოფილიყო, მაშინ სინოდის წევრები არ იჩქარებდნენ მის დამტკიცებას უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად.

[4] აღსაყდრების ან ხელდასმის მსახურების დელეგირება იყო ჩვეულებრივი პრაქტიკა წარსულ საუკუნეებში.